

თემურ ბაბლუანი

მზე, მთვარე და პურის ყანა

მხუმესა მეათლეზა



ლია, შენ გიძღვნი ამ ამბავს, ბოდიში ძალიან
ბევრი რამის გამო და მადლობა ყველაფრისათვის.
მიყვარხარ.

1

1968 წლის ზაფხულის დასაწყისისათვის ჩემი ერთადერთი შარვალი საბოლოოდ ასცდა კოჭებს და მოშიშვლებული წვივები მიჩანდა. თან უკან ისე გაიცრიცა, ფრთხილად ვჯდებოდი და მერე ადგომისას ხელით ვსინჯავდი, ვამონმებდი, მთელი იყო თუ არა. ახალი შარვლის საყიდელი ფული კი არ მქონდა. მამაჩემს ვთხოვე, მაგრამ არ მომცა – ეგ ჯერ კიდევ გაძლებს, ფრთხილად იხმარეო. ასე რომ, სხვა გზა არ მქონდა და არც დრო იცდიდა, თვითონ უნდა მელონა რამე.

გვიან ღამით ვარანცოვის ხიდი ტრამვაით გადავიარე და კათოლიკურ ეკლესიასთან ჩამოვხტი. იქიდან მეშვიდე საავადმყოფომდე არც ერთი ეზო არ გამომიტოვებია – შევდიოდი და თუ სადმე სარეცხი იყო გაფენილი, გაფაციცებით ვათვალიერებდი, მაგრამ შარვალს ვერსად მოვკარი თვალი.

– რაშია საქმე, ეს კაცები სად გაქრნენ? – მიკვირდა, – თუ შარვლები აღარ სჭირდებათ-მეთქი.

ასე შორს იმიტომ წამოვედი, რომ იქ, ჩემს უბანში, შარვლის მოპარვა სარისკო იყო. პატრონს რომ ეცნო, მერე რა უნდა მექნა? ისევ უშარვლოდ დავრჩებოდი.

საავადმყოფოსთან შევისვენე. ხალათის ჯიბეში ორი კარგი ბიჩოკი მქონდა და ორივე მოვწიე. მერე მარჯვნივ ავუყევი აღმართს, გაცვდი თალს და პატარა ეზოში შევედი. იქ აგურის ხუთსართულიანი ძველი შენობა იდგა. ფანჯრებში არსად სინათლე არ ენთო, მარტო საღარბაზოს თავზე ბუფუტავდა ჭუჭყიანი ნათურა.

სიბნელეში, მეხუთე სართულის რკინის აივანზე, თოკზე დაკიდე-

ბული შარვლის კონტური გავარჩიე და გამიხარდა. მისადგომად არ იყო ადვილი, მაგრამ ბევრი აღარ მიფიქრია, ფეხსაცმელები გავიხადე, იქვე კედლის ძირში დავტოვე და სანვიმარ მილს ფრთხილად ავუყევი, ვცდილობდი, არ მეხმაურა.

ის იყო მესამე სართულს ავცდი, უკან შარვლის გაცრეცილი ნაწილი ყველა მიმართულებით გაირღვა და ნაფლეთებად იქცა. საცვალი არ მეცვა და ამ შემთხვევამ ღამის სიგრილე კიდევ უფრო საგრძობი გახადა. – კიდევ კარგი, ასეთი რამე დღისით რომ არ მოხდა-მეთქი, – გავიფიქრე.

გავუსწორდი მეხუთე სართულის აივანს და სუნთქვა შემეკრა, ახლოდან გარკვევით ჩანდა, თოკზე ჯინსის შარვალი შრებოდა. ჯინსის შარვალი იმ დროისათვის თბილისში დიდი იშვიათობა იყო, აქა-იქ თუ ეცვა ვინმეს. დიდი ხანი არ იყო გასული, რაც ებრაელების უბანში გამოჩნდა გასაყიდად და ძალიან ძვირი ღირდა.

ფანჯრის რაფას მივწვდი, მერე ავურებს შორის თითების ჩასაჭიდ-სა და ფეხის წვერის დასადგმელს ვპოულობდი და ასე კედელზე დაკიდებული მივიწვდი აივნისაკენ. გადავედი მოაჯირზე და ჩავცუცქდი.

არის წუთები, როდესაც სიჩუმეს ვერაფერი შეედრება.

ნამიანი შარვალი თოკიდან ფრთხილად ჩამოვხსენი, ჩაცმა არც მიფიქრია, წელზე შემოვიხვიე და უკან გავბრუნდი. მშვიდობიანად დავეშვი დაბლა, ჩავიცვი ფეხსაცმელები, გავცდი თალს და ქუჩას სირბილით გავუყევი. ლამპიონების შუქს ვერიდებოდი, ბნელ ადგილებს ვარჩევდი.

გათენებას ბევრი არაფერი უკლდა, უბანში რომ ამოვედი და ბალის შესასვლელთან შევისვენე. არ ჩაიარა ღამემ ცუდად, თავს უკვე მდიდარ კაცად ვთვლიდი. ახლა ხაიმა უნდა მენახა. – ნეტა სახლში დამხვდეს-მეთქი! – ვინატრე.

ჩვენი სახლები ერთმანეთის გვერდით იდგა. ორივე ოთხსართულიანი იყო და ორივე ერთნაირად სქელი თუნუქით გადახურული. ერთი დიდი საერთო ეზო გვქონდა, სადაც ბავშვობის დროს ფეხბურთს ვთამაშობდით, საიდანაც დაიწყო სინამდვილეში ეს სამყარო ჩემთვის.

ხაიმას სახლისაგან განსხვავებით, ჩემს სახლს ეზოს მხრიდან სხვენამდე დახვეული კიბე მიუყვებოდა. ავუყევი იმ კიბეს, გავიარე

სხვენი და მერე სახურავიდან ქალაქს გადავხედე. თბილისის ზღვის მხარეს ჯერ ისევ ჩაბნელებული ცის კიდე ვარდისფრად იყო შეფაკ-
ლული. არსენალის მთის ძირში საბარგო მატარებლის გრძელი შემა-
დგენლობა აზერბაიჯანისაკენ მიექანებოდა. ბორბლების დაგადუგის
ხმა აქამდე აღწევდა.

გადავედი ხაიმას სახლის სახურავზე და სამტრედესთან შევჩე-
რდი, მტრედებმა გურგური ატეხეს. ის სამტრედე ჩემი და ხაიმას
საკუთრება იყო, ოცდაათი მტრედი გვყავდა. ერთად რომ აიჭრე-
ბოდნენ ჰაერში და უბანს წრეს არტყამდნენ, მართლა სასიამოვნო
სანახავი იყო.

შეჩერებით კი იმიტომ შევჩერდი, რომ მოპირდაპირე სახლის
ბოლო სართულის ჩაბნელებულ ფანჯარაში, მოულოდნელად, სულ
რამდენიმე წამით, სუსტი სინათლე გაკრთა და დავინახე, როგორ მოუ-
კიდა სიგარეტს ძია ჩარლიკამ. მარტო არ იყო, მის წინ ვილაც მელიოტი
კაცი იდგა და მომარჯვებული ფოტოაპარატი ხაიმას ფანჯრებისათ-
ვის ჰქონდა დამიზნებული. – ახ, შე ნაბოზვარო-მეთქი! – გავიფიქრე.
ყოველი შემთხვევისათვის, სამტრედეს ამოვეფარე და ეზოს მხარეს
ჩავიწიე.

ის ძია ჩარლიკა ახალი, ასე ორი თვის გადმოსული იყო ჩვენს უბან-
ში, თავს რკინიგზის ინჟინრად ასალებდა და სულ გალიმებული დადი-
ოდა, მისალმებას ვერ დაასწრებდი. – აი, ნაღდი კაცი ეგ არისო! – თქვა
ერთხელ მამაჩემმა, მიზეზი კი ის იყო, რომ იმან ჩექმების შეკეთებაში,
ხუთი მანეთის ნაცვლად, შვიდი მანეთი გადაუხადა.

ჩავიარე სახურავი და ეზოში გადავიხედე. არავინ არ ჩანდა. ხაიმას
შუშაბანდის ღია სარკმელი ვიპოვე, დავეკიდე საწვიმრის ღარზე, გავ-
ძვერი სარკმელში და ფანჯრის ჩარჩოს ჩავუყევი. დავდექი იატაკზე
და ცოტა ხნის მერე ფეხის წვერებზე მივუახლოვდი სანახევროდ
გამოღებულ კარს, საიდანაც ლაპარაკი ისმოდა.

გავჩერდი და ფრთხილად შევიხედე. ხაიმას ბიძები ვილაც ხნიერ
კაცთან ერთად მაგიდასთან ისხდნენ და ჩაის სვამდნენ. ეს იყო სულ,
სხვა არაფერი ხდებოდა, იმედის გაცრუება ვიგრძენი.

ნეტა რატომ იდგა ის ორი ნაბოზვარი ფანჯარასთან ფოტოაპარა-
ტით-მეთქი? – გავიფიქრე და ყოველი შემთხვევისათვის, ცოტა ხანს

მივაყურადე, მაგრამ მნიშვნელოვანი ვერაფერი გავიგონე. ახლად შემოსული ბოსტნეულის ფასებზე ლაპარაკობდნენ.

უკან დავიხიე, შემოვბრუნდი და პირი გავაღე. ჩემ წინ მაღალი, წვერებიანი კაცი იდგა და იღიმებოდა. იმოდენა კაცი ისე ჩუმად როგორ მომეპარა, მართლა გასაკვირი იყო.

მეც გავუღიმე და თვალი ჩავუკარი, – ხაიმას ძმაკაცი ვარ-მეთქი.

– ვიცი, ჯუდე გქვია, მეჯღანე გოგიას ბიჭი ხარო.

მე პირველად ვხედავდი და იმან ამ დროს მარტო ჩემი კი არა, მამაჩემის სახელიც იცოდა და საქმიანობაც.

– ვინა ხარ-მეთქი?!

– ხაიმას ნათესავი ვარო, – მერე ჯინსზე მანიშნა, – კარგად გაიყიდებაო.

– ხომ არ აიღებ-მეთქი?

– არა, მე სხვა საქმიანობას ვენევიო.

კარს ხაიმას უმცროსი ბიძა მოუახლოვდა, მე არ ვუყვარდი, თარსად მთვლიდა და რომ დამინახა, მოიღუშა.

– ეს საიდან გაჩნდა აქო? – ჰკითხა წვერებიანს.

– ორი წუთის წინ გადმოძვრა ფანჯრიდანო.

ის გაბრაზდა. – ამ სახლში მარტო ხაიმა არ ცხოვრობსო.

დავხარე თავი და ხაიმას ოთახისაკენ გავუყევი.

– ნაეთრიე აქედანო! – მომაძახა.

ვითომ არ გამიგონია. გავიარე შუშაბანდი და მუხის ხის სქელი კარი შევადღე. ხაიმას რკინის სანოლზე პირალმა ეძინა, თხელი საბნიდან ფეხები ჰქონდა გამოყოფილი. ფეხისგულზე შევუღიტიინე თუ არა, თავი ასწია.

– მე ვარ-მეთქი, – მერე სინათლე ავანთე, ჯინსი მოვიხსენი და დავანახვე.

– კარგიაო, – დააქნია თავი და მზერა ჩემს დაფლეთილ შარვალზე გადაიტანა, – შარვალი გჭირდებაო? – მიხვდა, რატომაც მივაკითხე.

– ხო-მეთქი.

ჩაფიქრდა. – კარგი, აიღე, ოღონდ სამი საათისთვის უნდა დამიბრუნოო.

საქმე იმაში იყო, რომ იმასაც იმ ერთი შარვლის მეტი არ ჰქონდა.

– უფრო ადრე დაგიბრუნებ-მეთქი.

შარვალს რომ ვიცვლიდი, მოვუყევი, რაც დავინახე სახურავიდან. ყურადღებით მისმენდა, მერე თვალელები მოჭუტა და ჩარლიკას მწარედ შეაგინა.

– როგორ ფიქრობ, რატომ გჩითავენ-მეთქი?

– ეგ ჩემს ბიძებს ჰკითხე და გეტყვიან, შენ არაფერს დაგიმაღავენო.

ეჭვმა გამკრა, რაც მოისმინა, მისთვის არ იყო მთლად ახალი ამბავი.

– დიდი მადლობა-მეთქი, – სხვა რა უნდა მეთქვა.

– ეგ ნაგავი აქ არ დატოვო, მოაშორეო!

ავიღე ჩემი შარვლის ნარჩენები და კარისაკენ წავედი.

– არ დაიგვიანოო, – მომაცხა.

2

ებრაელების უბანში ნაცნობ გადაწყვიდელებს ჩამოვუარე, ჯინსს ას მანეთად ვაფასებდი.

– მერე ჩვენ რა ვქნათ? რამდენად უნდა გავყიდოთო?

ორი საათი სულ ტყუილად დავკარგე და ვისაც პირველად შევევაჭრე, ისევ იმასთან მივბრუნდი. მომცა ოთხმოცი მანეთი და გავუდექი ნავთლუხის ბაზრისაკენ.

ნავთლუხის ბაზარი მაშინ ყველაზე იაფი ბაზარი იყო ქალაქში. პირველად შარვალი ვიყიდე, ჩავიცვი და – ესეც ასე-მეთქი, – შვებით ამოვისუნთქე. მერე ლურჯი ხალათი მოვიზომე, ტანზე კარგად მომერგო, თან ფერი მომეწონა, შევიკარი ლილეები და ფული გადავიხადე. იქიდან ფეხსაცმელების ფარდულში გადავინაცვლე და ისეთ ბატინკებში ჩავყავი ფეხები, ადრე რომ ვერც ვიცნებებდი.

ჩემი ძველი ფეხსაცმელები ხუთჯერ იყო შეკეთებული, მე თვითონ შევაკეთე, მამაჩემის იარაღებით. ორჯერ სიგრძეში გავზარდე, ასე

რომ, მთლად ფეხსაცმელებს არ ჰგავდა, მაგრამ ფეხშიშველა სიარულს სჯობდა. ახლა ავიღე და ძველ დაფლეთილ მაიკასთან ერთად, სანაგვე ყუთში გადავუძახე.

მანუშაკასათვის ადეკალონი „კარმენი“ მინდოდა მეყიდა. იმ „კარმენის“ ძებნაში ლურჯი იასამნებით მოქარგული, შალის თეთრი ჟაკეტი დავინახე, მომეწონა და ბევრი აღარ მიფიქრია, – გაახვიე-მეთქი! – ვუთხარი გამყიდველს.

ფული გადავუხადე და იმანაც გაახვია. ნამოვედი, მაგრამ ხაიმას შარვალი დამრჩა იქ, ტრამვაიში აღმოვაჩინე, რომ აღარ მქონდა და რა მექნა, დავბრუნდი უკან. გამყიდველი ჩემზე ორი წლით თუ იქნებოდა უფროსი. – რის შარვალი, რა შარვალი, აქ არაფერი დაგრჩენიაო.

არადა, მახსოვდა, დახლზე როგორ დავდე.

– გაიხსენე, თორემ ამ მაღაზიას დაგინვაგ-მეთქი!

მეორე გამყიდველმა ხაიმას შარვალი მუყაოს დიდი ყუთიდან ამოიღო და დამანახვა.

– ეს არისო?

დავუქნიე თავი. გაახვია ისევ ქალაქში და მომანოდა. მერე იმ ახალგაზრდას უსაყვედურა: – რა შარვალი ეგაა, შარს რომ მოულობო?!

პირველი საათისათვის ხაიმას შარვალი მეზობლის პატარა ბიჭს ამოვუდე ილიაში, – ეს ხაიმას აუტანე-მეთქი, – და მანუშაკას სანახავად გაუყევი.

პარიკმახერი გარიკა რომ იყო ჩვენს უბანში, მანუშაკა იმ გარიკას ქალიშვილი იყო.

გარიკას ბიჭიც ჰყავდა, სურენა. ის ჩემზე და მანუშაკაზე შვიდი წლით იყო უფროსი. სულ საპარიკმახეროში იჯდა და ჟურნალებს კითხულობდა, ხანდახან პატარა ბავშვებს კრეჭდა, დიდებს გარიკა არ აკარებდა – როცა დაჭკვიანდები, მერეო.

მე მანუშაკა საბავშვო ბაღიდან მიყვარდა. სკოლაშიც ერთად ვსწავლობდით, მაგრამ მანუშაკას მეექვსე კლასის ბოლოს, ყოფაქცევის გარდა, ყველა საგანში ორიანი გამოჰყვა და დაანება სწავლას თავი. მე როგორღაც მივალწიე ბოლო კლასამდე და იმ დროისათვის ერთი გამოცდა მქონდა ქართულ წერაში დარჩენილი. თუ დავწერდი ისე, როგორც საჭირო იყო, ავიღებდი ატესტატს.

მაშინ მანუშაკა გზაში შემომხვდა, სახლიდან პურის საყიდლად იყო გამოსული. თავიდან ვერ მიცნო და დამაშტერდა, მერე ნამონითლდა. ყოველთვის ასე ემართებოდა, მომკრავდა თვალს თუ არა, ნამონითლდებოდა.

– ეს შენა ხარო?!

– შენთან მოვდიოდი-მეთქი.

უკან დაიხია და შემათვალეირა.

– პირს რომ დაიბან, ეგ ტანსაცმელი კიდევ უფრო მოგიხდებაო.

– რა მაჩნია-მეთქი?

– ლოყა და ყური გაშავებული გაქვსო.

გამახსენდა, წინა ღამით როგორ მივუყვებოდი სანვიმარ მილს და რატომღაც გუნება გამიფუჭდა. შემატყო და შეწუხდა.

– რა მოგივიდაო?

– ყველაფერი რიგზეა-მეთქი.

მართლა ყველაფერი რიგზე იყო. ვაჭრობის მერე 35 მანეთი დამრჩა, არც ამდენი ფული მქონია როდისმე და არც ასე კარგად ჩაცმული ვყოფილვარ. პირს დავიბანდი, ბოლობოლო, პირის დაბანას რა უნდოდა?! ვერ მივხვდი, რა დამემართა და მიკვირდა. მერე იმ შეხვედრას რომ ვინახებდი, ყოველთვის ერთი და იგივე დასკვნა გამომქონდა – ეს წინათგრძნობა იყო.

მანუშაკას საჩუქარს ქალაღლი შემოვაცალე და გავუნოდე.

– აი, ეს შენ-მეთქი.

გაუხარდა და შემომცინა. ჟაკეტი ჩაიცვა და ხტუნვა-ხტუნვით შემომირბინა ირგვლივ. – მიყვარხარო! – მითხრა.

საპარიკმახეროს რომ ჩავუარეთ, გარიკამ ფანჯრიდან გამოგვხედა, რაფიკას პარსავდა, მიტოვება და გარეთ გამოსვლა ვერ გაბედა, ასე რომ, მარტო წარბების აწევით შეაფასა ჩვენი ახალი ჩაცმულობა.

შევნიშნე, სარკიდან რაფიკა მანუშაკას აკვირდებოდა და გულზე რაღაცამ უსიამოვნოდ გამკრა. მანუშაკამ კიდევ, ვითომც არაფერი, დაამატა: – ეგ რაფიკა ამ ბოლო დროს რაღაც სხვანაირად მიყურებსო.

– მერე შენ რას ფიქრობ-მეთქი?

– რას ამბობ, რომ ვუყურებ, გული მერევაო.

რაფიკა კანონიერი ქურდი არ იყო, წოდება არ ჰქონდა, მაგრამ

კრიმინალურ სამყაროში სერიოზული ავტორიტეტით სარგებლობდა. უბნის ინსპექტორი თემურ თემბრიყაშვილი ახლოს არ ეკარებოდა, თითქოს ეშინოდა მისი. ამბობდნენ, დაბლა ებრაელების უბანში არა-ლეგალურად მოვაჭრეებს აკონტროლებს და იმ ვაჭრობიდან კარგი ფული შემოსდისო.

ტროკადეროს ნათქვამი გამახსენდა, – ყველაზე დიდი ვაჟკაცი ცხრაგრამიანი ტყვიააო, – და გაღიზიანებულმა გავიფიქრე, – თუ მართლა რამე დააპირა, დაეხვდები სადმე ბნელში და შუბლში ტყვიას დავაჯახებ-მეთქი.

მანუშაკას კი დავუჯერე, რატომ არ უნდა დამეჯერებინა?! რაც თავი მახსოვდა, ჩემთვის ერთი ტყუილიც არ უთქვამს. თავის ძმასავით მთლად არა, მაგრამ მაინც საგრძნობლად მოიშტერებდა. ისეთი გულკეთილი და გულუბრყვილო იყო, მთლად ნორმალური როგორ იქნებოდა, მაგრამ მე მგონი, სწორედ ამიტომაც მიყვარდა.

პურის მალაზიასთან სანამ ერთმანეთს დავშორდებოდით, შევთანხმდით, გამოვიძინებდი და მერე, საღამოს, კინოში წავიდოდით.

3

პურის მალაზიასა და გასტრონომს შორის მოქცეული პატარა ფართობი ჟანგიანი თუნუქის ფურცლებით იყო გადახურული, წინ კედელი არ ჰქონდა. სახურავის ქვემოთ რკინის დაბალი მაგიდა იყო მიწაში ჩაცემენტებული. იმ მაგიდის იქით იჯდა მამაჩემი და სანახევროდ ღია ცის ქვეშ, ზამთარ-ზაფხულ ძველ ფეხსაცმელებს ამთელებდა. თავისი ხელობა მეც შემასწავლა და როცა ბევრი საქმე ჰქონდა, ვენმარებოდი.

– შენ რა გიჭირს, – მითხრა ერთხელ, – ამ ჩემს საქმეს შენ გიტოვებ, ასე რომ, პურის ფული არასოდეს მოგაკლდებაო.

დედაჩემი ომის დროს ლტოლვილებს ჩამოჰყოლია რუსეთიდან თავის კოჭლ დეიდასთან ერთად. დეიდა მალე მოუკვდა და დარჩა მარტო. მერე მამაჩემი გაიცნო და მე გავჩნდი. ასე რომ, ენა რუსულად

ავიდგი. შემორჩენილი ერთადერთი ფოტოსურათის მიხედვით თუ იმსჯელებდი, იტყოდი, რომ ლამაზი ქალი იყო, ყოველ შემთხვევაში მე ასე მეჩვენებოდა. ოთხი წლის ვიყავი, როდესაც ერთ დღეს სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა, მიგვატოვა. მახსოვს, სულ კარებისაკენ ვიყურებოდი და ველოდებოდი, მაგრამ მერე, როცა მამაჩემმა კარები სხვა ფერის საღებავით გადაღება, მოლოდინის ის სასიამოვნო განცდა გაქრა.

მამაჩემის მეორე ცოლს მაყვალა ერქვა. სოფლიდან ახალი ჩამოსული იყო, ჩვენთან უბანში, პურის მაღაზიაში გამყიდველად რომ დაინყო მუშაობა. თავიდან ერთი სიმპათიური ქურთი ყიმავედა, მერე თენგოიამ დაადგა თვალი და იმ ქურთს იმ პურის მაღაზიაში პურის ყიდვა აუკრძალა.

თენგოია ჯანიანი აყლაყუდა იყო, ცირკის უკან, საცურაო აუზში მუშაობდა ადმინისტრატორად. ძალიან კარგად ჩხუბობდა და ვისაც იცოდა, რომ მოერეოდა, ადამიანად არ თვლიდა. უბანში ზრდილობიანად რაფიკას გარდა, თითქმის არავის არ ელაპარაკებოდა.

ჩაკეტავდნენ კარს ის და მაყვალა და მიდი-მოვდივარ, უბერავდნენ დახლის უკან. მე თვითონ მიწაზე ფანჯრიდან, მაყვალას მალა აშვერილი ფეხები როგორ ირხეოდნენ რიტმულად ფუნთუშების ფონზე. ამ დროს გარეთ პურის საყიდლად მისული ხალხი იდგა, რა ექნათ, ელოდებოდნენ.

ჰოდა, მამაჩემმა, რომლის თვალწინაც ხდებოდა ეს ყველაფერი, ის მაყვალა ცოლად მოიყვანა. დედაჩემთან ოფიციალურ ქორწინებაში არ იმყოფებოდა, ასე რომ, პრობლემა არ შეჰქმნიათ, წავიდნენ ზაქსში და მოანერეს ხელი.

ჩვენ მესამე სართულზე ერთოთახიანი ბინა გვექონდა პატარა შუშაბანდით. მაყვალას გამოჩენის შემდეგ მე იმ შუშაბანდში ვიძინებდი. გავიდა დრო და ჯერ ერთი ბიჭი გაჩნდა, მერე – მეორე. ადგილი აღარ იყო და სხვენზე, საკუჭნაოში გადავბარგდი.

მე და მამაჩემმა იქ ძველი რკინის საწოლი ავიტანეთ, ავანყვეთ და ფანჯარასთან დავდგი. ცემენტის იატაკი გულდაგულ მოვრეცხე და დავინყე ჩემთვის ცხოვრება, არც არავინ მანუხებდა და არც არავის ვანუხებდი.

კედლის ძირში გათბობის მსხვილი მილი გადიოდა და ზამთარში სიცივე ვერაფერს მაკლებდა. ზაფხულში, მზე რომ დააჭერდა, თუნუქის სახურავი ისე ხურდებოდა, იქ ვერ გაჩერდებოდი. ისე, სხვა დროს არა უშავდა, მით უმეტეს, თუ წვიმდა.

ახლა შევალე კარი, გავიხადე ახალი ტანსაცმელი და ფრთხილად გადავკიდე სკამზე. სანამ დავნებოდი, აზრად მომივიდა, არ იქნებოდა ცუდი, პატარა ნოხს თუ ვიყიდდი და დავაფენდი სანოლის წინ.

გამახსენდა, პირი რომ მქონდა დასაბანი, მაგრამ სხვენში წყალი არ მოდიოდა, ეზოში უნდა ჩავსულიყავი. არადა, ძილი თავს მართმევდა. – არა უშავს, მერე დავიბან-მეთქი, – და ღამის სამ საათამდე მეძინა.

რომ გამომეღვიძა, არსენალის მთის ძირში გაქანებული საბარგო მატარებლის ხმა შემომესმა, შევწუხდი. გამოვიდა, რომ მანუშაკა მოვატყუე, კინოში ხომ უნდა წამეყვანა.

მერე ეზოში ონკანთან პირს დიდხანს ვიბანდი.

– აწი რაღა უნდა მაჩნდეს-მეთქი! – დაკვეტე ონკანი და ქუჩაში გამოვედი.

სიგარეტი არ მქონდა და ასფალტზე ნამწვებს დავუწყე ძებნა. ასე აღმოვჩნდი მოედანზე და მამაჩემის სამუშაო მაგიდის წინ თენგოია დავინახე.

თენგოიას ჩვევად ჰქონდა, გათენებისას გამოჰყავდა თავისი ფინია ძალლი სასაიროდ და ქუჩებში დაბორიანდებდა. ძალლს ბესტერა ერქვა და როგორც ამბობდა, ძმასავით უყვარდა. მართალია, ეს უკვე აღარ იყო ის თენგოია, მთელი ბავშვობა შიშის ზარს რომ მცემდა, მაგრამ მაინც დავიძახე. იდგა და მიყურებდა. მეც ვიდექი და ვუყურებდი. ბოლოს გადავწყვიტე და – შენი დედაც-მეთქი! – შევაგინე.

ახლა მოკლედ მოგიყვებით, რაში იყო საქმე:

ჩემი პირველი ნახევარძმა რაც უფრო იზრდებოდა, მით უფრო ემსგავსებოდა თენგოიას. ბოლოს მსგავსება იმდენად აშკარა გახდა, რომ უბანში დიდი თუ პატარა თენგოიას ბიჭს ეძახდა.

როგორც იყო, მამაჩემიც მიხვდა რაღაცას და ხასიათი შეეცვალა, აგრესიული გახდა. მახსოვს, იჯდა სკამზე, ხელში ჩაქუჩი ეჭირა და გაოგნებული მიშტერებოდა წინ დაყრილ ჯღანებს. მივხვდი, ეჭვები

სტანჯავდა! შემეცოდა, მაგრამ მე რა უნდა მელონა, რისი შეცვლა შემეძლო?!

მერე სმა დაინყო. მუშაობას რომ მორჩებოდა, ლოთებთან ერთად, გასტრონომში ერთ ბოთლ არაყს გამოცლიდა და ბარბაცით აუყვე-ბოდა სახლის კიბეებს, თან ჩანთებს მიათრევდა. ჩანთებში სამუშაო იარაღები და შესაკეთებელი ჯღანები ელავა. დიდი სიამტკბილობით არც ადრე გამოირჩეოდნენ, მაგრამ მაშინ ძალიან დაეძაბათ ურთი-ერთობა, ყოველდამე დაბლიდან მამაჩემის ღრიალი და მაცვალას კივილი მესმოდა.

ერთ წვიმიან ღამეს აბსოლუტურად ფხიზელი ამოვიდა ჩემთან სხვენში, ჩამოჯდა სკამზე და მეკითხება: – ეს შენი ძმები ვისა ჰგვა-ნანო?

არ გავეცი ხმა.

– თქვი, ნუ გერიდებაო!

– შენ რა, თვითონ თვალები არა გაქვს-მეთქი?

– თქვიო!

მეც ავდექი და ჯერ უფროსი ბიჭი შევადარე თენგიოას და მერე უმცროსზე გადავედი: – პურის მანქანაზე რომ მუშაობდა ექსპედი-ტორად ვალოდა, თუ გახსოვს-მეთქი?

ისე შეიშმუშნა, მივხვდი, მარტო ის არ იყო, რომ ახსოვდა, უფრო შორს იყო წასული.

– თავი მსხალს მიუგავდა, ცხვირი ნიკაპამდე სწვდებოდა, ხომ ზუსტად ვამბობ-მეთქი?!

არ მიპასუხა.

– ჰოდა, ახლა შეადარე შენს უმცროს ბიჭს, ხო, შეადარე. ხალხი არც მაგას დაუკარგავდა მამის სახელს, მაგრამ ის ვალოდა დიდი ხანია, აქ არ გამოჩენილა, აღარ ახსოვთ-მეთქი.

რალაცნაირად გამოლენჩებული მიყურებდა, მერე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და ჩაბნელებულ ქალაქს გახედა.

უცნაური განწყობა დამეუფლა, თან მეცოდებოდა, თან მეზიზღე-ბოდა. ცოტა ხანს შევიცადე და მერე გულმა არ მომითმინა და მაინც ვუთხარი: – შენ ისეთი შტერი კაცი ხარ, სულაც არ გამიკვირდება, მეც რომ არ ვიყო შენი შვილი-მეთქი.

თავი გააქნია და შემობრუნდა.

– დედაშენი წესიერი ქალი იყო.

– წესიერი თუ იყო, რატომ მიგვატოვა-მეთქი?

– ვლალატობდი, გაიგო და არ მაპატიო.

– სულ ეგ იყო? რალაც არა მჯერა-მეთქი.

– კი, სულ ეგ იყო.

ალარ შევეკამათე.

– იცი, ვისთან ვლალატობდი? მაზავეცკაისთანო.

ის მაზავეცკაია ჩვენ მეზობლად ცხოვრობდა მეორე სართულზე, მუსიკის მასწავლებელი იყო.

გამეცინა.

– რა იყო? მაშინ ჯოხით კი არ დადიოდა, მშვენივრად გამოიყურებოდაო.

– მერე ეგ მოგეყვანა ცოლად, არ გილალატებდა და მაგისი სამოთახიანი ბინაც ჩვენ დაგვრჩებოდა, მაგან არა მგონია, კიდევ დიდხანს იცოცხლოს-მეთქი.

თავი დახარა და იატაკს დააშტერდა.

მერე ვფიქრობდი, – იმ ჩემმა ნათქვამმა ხომ არ დააყენა იმ ჭკუაზე-მეთქი? – მეორე დღეს მოხიკა თავის ბარგი-ბარხანა და მაზავეცკაიას შეუსახლდა.

იმან სიხარულით მიიღო, მაზავეცკები პოლონელი ბარონები ყოფილან და მამაჩემის წარმომავლობას მისთვის გადამწვევტი მნიშვნელობა ჰქონდა. – თავადო გიორგიო! – ასე მიმართავდა.

ერთხელ მე მითხრა: – შენი წინაპრები სახელგანთქმული ფეოდალები იყვნენ, ბიზანტიელ და არაბ ისტორიკოსებსა ჰყავთ მოხსენიებული თავიანთ ნაშრომებში, ასე რომ, შენ შენი გვარით უნდა ამაცობდეო.

საინტერესო იყო, სად უნდა მეამაყა? მთელი ქვეყანა წითელი დროშებით იყო მოფენილი.

მამაჩემი ხუთი წლის ყოფილა, კომუნისტებმა მშობლები რომ დაუხვრიტეს, უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში გაიზარდა. კიდევ კარგი, მეჯღანეობის შესწავლა მოახერხა და, როგორც თვითონ ამბობდა, გადარჩა, ცხოვრებაში არ დაიკარგა.